პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 288 (10985)

კვირა, 8 დეკემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

## მევენახეობის მძლავრი აღმავლობისათვის

ჩვენი რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის მშრომელებს აწვდის არა მარტო მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს, არამედ შამპანურს, კონიაკს. ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებაში საქართველოს წამყვანი ადგილი უჭირავს. მევენახეობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ბევრ კოლმეურნეობაში იგი შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს შეადგენს.

ვენახს საქართველოში ახლა 60.604 ჰექტარი უჭირავს. 1953 წელთან შედარებით ვენახის ფართობი 8.111 ჰექტარით გადიდდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია ჩვენს რესპუბლიკაში მკვეთრად განვითარდეს მევენახეობა და გადიდდეს ღვინის წარმოება. გათვალისწინებულია 1960 წლისათვის რესპუბლიკაში ვენახის ფართობი აყვანილ იქნას 80 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1965 წლისათვის—120 ათას ჰექტარამდე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს ვენახის მოვლა. თუ 1952 წელს კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იყო 23,7 ცენტნერი ყურძენი, წელს, არასრული ცნობებით, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა მიღებულია 40 ცენტნერზე მეტი ყურძენი. მევენახეობის მთელმა რიგმა რაიონებმა ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, თელავის რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 57 ცენტნერი ყურძენი. ასევე გაადიდეს მოსავლიანობა გურჯაანის, ახმეტის, ვანის, ცაგერის რაიონებმა და აჭარის ასს რესპუბლიკამ.

უნდა ითქვას, რომ, ამ წარმატებების მიუხედავად, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მევენახეობის განვითარებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, ბევრგან დაივიწყეს გამეჩხრებული ვენახების ყოველწლიური რემონტი და ექსპლოატაციიდან გამოსული ვენახების აღდგენა. ზოგან უხეშად არღვევენ ვაზის მოვლის აგროწესებს, რის შედეგად ყურძნის დაბალ მოსავალს იღებენ. პირველ რიგში ეს სავარეჯოს რაიონზე ითქმის. აქ წელს საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 24,8 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ანაგე რაიონის სოფელ პატარძეულის კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე სულ რაღაც 18,9 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს. ჩამორჩენილი კოლმეურნეობები არის მევენახეობის მოწინავე რაიონებშიც. მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ უკანასკნელ წლებში შეუწყნარებლად შეამცირა ყურძნის მოსავლიანობა. წელს აქ საშუალოდ ჰექტარზე 7,8 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება მაიაკოვსკის, საჩხერისა და სხვა რაიონებიდანაც.

აღნიშნული ფაქტები იმას მოწმობენ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმოო-მეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მევენახეობის განვითარების საქმეს.

მევენახეობის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მექანიზაცია. მაგრამ ამას ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ზესტაფონის, საჩხერის, თერჯოლის, ქუთაისის და სხვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ვენახების მწკრივთა შორის დამუშავებას ტრაქტორით სრულიად უმნიშვნელო ფართობზე აწარმოებენ.

მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სადედე მეურნეობის განვითარებას. რესპუბლიკაში საძირე ვაზის სადედეების ფართობები 989 ჰექტარს შეადგენს. იქ, სადაც სადედეებს გულმოდგინედ უვლიან, საძირე ლერწის მაღალ მოსავალს იღებენ. ასეთებია ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, თელავის საცდელი სადგური და სხვ. მაგრამ ასე როდი ითქმის სიღნაღის, საგარეჯოს, კასპის, გორის და სხვა რაიონების საძირე ვაზის სადედეებზე. აქ წლების მანძილზე მოუვლელობის შედეგად სადედეები დასარევლიანებულია. მოვლის აგროწესებს არ იცავენ. ამიტომ არის, რომ საძირე ვაზის ლერწის გამოსავლიანობა 25-30 პროცენტსაც ვერ აღწევს. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოვალენი არიან მეტი დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ რაიონებს.

გათვალისწინებულია, რომ რესპუბლიკაში ახალი ვენახები უნდა გაშენდეს ძვირფასი საბრეწველო ვაზის ჯიშებით, როგორიც არის ცოლიკაური, ციცქა, ალექსანდრეული, რქაწითელი, საფერავი, ოჯალეში, პინო, ჩხავერი, რაჭული თეთრა და სხვ. ხოლო ქალაქ თბილისის და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქების მახლობლად უნდა გაშენდეს მაღალხარისხოვანი სუფრის ყურძნის მომცემი ვაზის ჯიშები. სამწუხაროდ, ზოგან ახალი ვენახების გაშენებისას აღნიშნული ჯიშების გამოყენებას არ ითვალისწინებენ. მაგალითად, ყვარლის რაიონში საყოველთაოდ ცნობილია ქინძმარაულის მაღალხარისხოვანი ღვინო. ეს ღვინო ძირითადად ყვარელში მზადდება საფერავის ჯიშის ვაზისაგან. ყვარელმა მევენახეებმა მეექვსე ხუთწლედში გეგმის მიხედვით უნდა გაამენონ 400 ჰექტარი საფერავის ჯიშის ვაზი, ხოლო ყოველწლიურად — 80 ჰექტარი. სინამდვილეში რაიონში ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა.

მევენახეობის განვითარების საქმეში დასახული ამოცანების გადასაჭრელად ფართო მასების დარაზმვას დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც ხვალ იხსნება თბილისში. თათბირის მონაწილენი ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას მევენახეობაში.

მევენახეობა ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სათავეში უნდა ჩაუდგნენ საყოველთაო-სახალხო მოძრაობას მევენახეობის მძლავრი აღმავლობისათვის და დარაზმონ მასები ყურძნის მოსავლიანობის გასაოდებლად.

მივცეთ საბჭოთა სამშობლოს მეტი ყურძენი, მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო, კონიაკი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირებში აქტიური მუშაობისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ამოცანების შესასრულებლად მშრომელი მასების ორგანიზაციის საქმეში დამსახურებისათვის და პროფესიული კავშირების 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა პროფესიული კავშირების აქტივის დიდი ჯგუფი — მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, პროფკავშირული ორგანოების მუშაკები. სულ დაჯილდოებულია 7.161 კაცი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 207 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით 1.494 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 2.500 კაცი, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ — 2.960 კაცი. (საქდესი).

## მახარაძის რაიონმა შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა

**მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ციტრუსოვანთა ნაყოფის უხვი მოსავალი მოიყუანეს და წარმატებით შეასრულეს მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის დამზადების გეგმა. მანდარინის დამზადების გეგმა შესრულებულია 158,6 პროცენტით, ლიმონისა — 224 პროცენტით, ფორთოხლისა — 100 პროცენტით.**

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება გრძელდება. (საქდესი).

## კასპის რაიონმა შეასრულა ბოსტნეულისა და კვერცხის დამზადების გეგმა

კასპის რაიონმა შეასრულა ბოსტნეულისა და კვერცხის დამზადების გეგმა. (საქდესი).

## არა, ჭაღარა დაგრკოლეგა არა ყოფილა!

ე. გოლიაძე.

ნ. მამეიშვილი.

მშვიდი, სანდომიანი მოხუცი, საფეიქლებთან შეჯალარავებული თმითა და ცოცხალი გამოხედვით. ქუჩაში რომ შემოგხვდეთ, სამოცდაათ წელზე მეტი ხნისად ჩათვლით, და არც შეცდებით, ხოლო ჩაის პლანტაციაში რომ ნახოთ მუშაობის დროს, ოციოდე წლით ახალგაზრდად მოგეჩვენებათ.

მთელი სიცოცხლე არა, მაგრამ ოცდაათი წელი კი იქნება, რაც ელპიტი გოლიაძე ისე შეეთვისა და შეეჩვია ამ საქმეს, როგორც გურულ ყაიდაზე საცივისა და ლობიოს შემზადებას. შეპყურებთ ამ მოხუცს, ახალგაზრდებს შორის მხნედ ჩამდგარს, ახალგაზრდულად ხალისიანსა და დაუმცხრალს, და გკვრთ: გაჭირვებამ და ორიოდე შრომადღის გამომუშავების სურვილმა კი არა, მხოლოდ მოვალეობის გრძნობამ კი არა, საქმისადმი, ამ მწვანე ბუჩქებისადმი სიყვარულმა მოიყვანა იგი აქ. ამ სიყვარულით არის იგი ასე მოუღლელი და ჯანგაუტეხელი.

როგორ არ შერცხვება, რა გული დაუდგება ახალგაზრდას, ამ ქალის შემყურეს, გვერდში არ ამოუდგეს მას და პლანტაციაში მთელი ძალით არ იმუშაოს. თუნდაც ეს საქმე ათჯერ უფრო სამძიმო იყოს.

და კიდეკაც უდგანან მხარში ელპიტი გოლიაძეს ახალგაზრდები. სოფელ დვაბზუს ჭდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში დღეს იშვიათად შეგხვდებათ მეჩაიე, რომელიც ამ მოხუცისაგან დიდად არ იყოს დავალებული. თაობები იზრდებოდა ჩაის უხვი მოსავლის ამ სახელოვანი ოსტატის, გამოცდილი პრაქტიკოსის მუშაობის მაგალითზე და კვლავაც იზრდება.

რგოლში, რომელსაც ელპიტი გოლიაძე ხელმძღვანელობს, მეტი წილი ახალგაზრდები არიან. გასულ სეზონში რგოლის წევრებმა გადაწყვიტეს პატივი დაედოთ მოხუცისათვის და სთხოვეს მას: ნაკვეთს ნუ ჩაიბარებდა მოსავლელად, რგოლის საერთო ხელმძღვანელობით დაემყოფილებულიყო.

— ისეთი რა შემატყეთ, ვითომ ასე დავბერდი? — ნაღვლიანად თქვა ელპიტიმ, როცა

> მათი შრომა სამაგალითო უნდა იყოს თქვენთვის, ახალგაზრდებო! ყველა ისე რომ მუშაობდეთ, როგორც ისინი, ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილი იქნებოდა მშობლიური მოსავლის ჩაით.

თავისი უმცროსი ამხანაგების განზრახვა გაიგო. იმდენი საყვედური, წყენა, გულისტკივილი იყო ჩაქსოვილი მის სიტყვებში, რომ მეორედ არავის შეუბედავს მისთვის ამ თემაზე ლაპარაკი.

რგოლმა წელს კარგი მოსავალი მიიღო. საშუალოდ ჰექტარზე 5.000 კილოგრამი. ბევრად მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. მერგოლური კი გულნაკლულია: მეტის მოყვანა შეგვეძლო, მომავალ წელს გაცილებით მეტი — 7.000 კილოგრამი უნდა მოვიყვანოთო, აგულიანებს იგი რგოლის წევრებს.

ბარაქალა შენს მარჯვენას და შენს ქალობას, მოხუცო!

* * *

სოფელ ბაზის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ნადია მამეიშვილის რგოლმა პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალება. ამის შესახებ რაიონულმა გაზეთმაც გამოაქვეყნა პატარა ცნობა, მაგრამ ალბათ არავის, მამეიშვილის ნაცნობებს გარდა, ფიქრადაც არ მოსვლიათ, თუ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ამ რგოლს 72 წლის მოხუცი ხელმძღვანელობდა. სოფელ დვაბზუში ელპიტი გოლიაძემ და მისმა რგოლის წევრებმაც გვიან გაიგეს ეს ამბავი და გადაწყვეტეს შეჯიბრებაში გამოეწვიათ ნადია მამეიშვილის რგოლი.

მოხუცი მერგოლურები ამას წინათ მოწვნავე მეჩაიეთა თათბირზე შეხვდნენ ერთმანეთს. ნადია მამეიშვილი სიტყვითაც გამოვიდა, და ელპიტი გოლიაძე გრძნობდა, ეს ტანმორჩილი ქალი მზად იყო მხოლოდ მისი რგოლი კი არა, საქართველოს ყველა მეჩაიე გამოეწვია შეჯიბრებაში.

არა, არც წლები, არც ჭაღარა დაბრკოლება არა ყოფილა. ოღონდ გული გქონდეს მედგარი და გაუტეხავი და მუდამ შეგრჩება ძალა სასიკეთოდ გაუწვდინო მარჯვენა შენს ხალხს.

ბ. ჩხაიძე.
(საკ. კორ.).

მახარაძის რაიონი.

## განვამტკიცოთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობა და სოლიდარობა

დღითიდღე მტკიცდება ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა სოლიდარობა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხებთან, რომელნიც ბრძვიან სატკივნეული კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. აღმოსავლეთის ხალხებისადმი საბჭოთა ადამიანებიგულწრფელი მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობა დიდი ძალით ვლინდება ამ დღეებში, როცა ჩვენი თვალწუწდნელი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში იმართება აზიისა და აფრიკის კონტინენტებიხალხებთან სოლიდარობის კვირეული.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კვირეული ფართოდ აღინიშნება ჩვენს რესპუბლიკაშიც.

გუშინ, რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, მიძღვნილი იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ აზიისა და აფრიკის ხალხთა ბრძოლისადმი.

მოხსენება „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. წერეთელმა.

— ჩვენ, — თქვა მომხსენებელმა, — თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოვლენის მოწმენი ვართ, იმ მოვლენისა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნები გამოდიან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ასპარეზზე, თავისუფლდებიან საუკუნოვანი ჩაგვრისაგან.

აზიისა და აფრიკაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებათა შკაფიო გამოხატულება იყო ამ კონტინენტებისა ქვეყნების პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც 1955 წელს გაიმართა ბანდუნგში.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის განმტკიცების საქმეში დიდ როლს შეასრულებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენცია, რომელიც 26-დან 30 დეკემბრამდე გაიმართება კაიროში. მრავალი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დახარკინის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, განიხილავს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებებისათვის, ფართო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის აზიისა და აფრიკის ხალხთა ბრძოლის საარსებო საკითხებს.

— საქართველოს საზოგადოებრიობა, — თქვა დასასრულ მომხსენებელმა, — მხურვალედ უჭერს მხარს კონფერენციას, რომელიც აზიისა და აფრიკის ხალხთა ფართო წარმომადგენლობითი თათბირი იქნება.

კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მიქელაძემ ილაპარაკა, თუ რა მეგობრული ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ბევრ ხალხს შორის.

მწერალმა ა. ბელიაშვილმა თავის სიტყვაში თქვა:

— სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა ბედს და სავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები განაგებდნენ. იმპერიალისტური წრეების მისწრაფებას მოატყუონ და დაიმონონ აზიისა და აფრიკის ქვეყნები, მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ ამ ქვეყნების ხალხები, საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

კრებაზე აგრეთვე გამოვიდნენ კამოლ-მაუდის კომბინატის მუშა ე. ალავიძე, დედისა და ბავშვის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ე. მესხი, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ა. ხუტაშვილი.

თბილისის მშრომელების წარმომადგენელთა კრება ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიესალმება იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლას. (საქდესი).

## რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

### 1957 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

| დასავლეთის ზონები | რაიონები | მოწველილია 1957 წ. 1/I-დან 1/XII-მდე | მოწველილია 1956 წ. 1/I-დან 1/XII-მდე | მატება + — კლება |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმის | 1970 | 1638 | +332 |
| 2 | ბოდბისუბნის | 1734 | 1292 | +442 |
| 3 | ქობულეთის | 1576 | 1515 | + 61 |
| 4 | ჭალის | 1544 | 1154 | +390 |
| 5 | დმანისის | 1452 | 1124 | +328 |
| 6 | წითელწყაროს | 1289 | 1191 | + 98 |
| 7 | გურჯაანის | 1388 | 1048 | +340 |
| 8 | საგარეჯოს | 1379 | 1254 | +125 |
| 9 | ახალქალაქის | 1251 | 910 | +341 |
| 10 | გარეუბნის | 1250 | 1274 | — 24 |
| 11 | მახარაძის | 1215 | 1007 | +208 |
| 12 | მცხეთის | 1193 | 932 | +261 |
| 13 | ასპინძის | 1135 | 772 | +363 |
| 14 | თეთრი წყაროს | 1114 | 1080 | + 34 |
| 15 | ბორჯომის | 1088 | 848 | +240 |
| 16 | ბოლნისის | 1022 | 896 | +126 |
| 17 | გორის | 1021 | 963 | + 58 |
| 18 | თელავის | 1018 | 960 | + 58 |
| 19 | გარდაბნის | 996 | 908 | + 88 |
| 20 | მარნეულის | 994 | 924 | + 70 |
| 21 | სტალინირის | 948 | 824 | +124 |
| 22 | თერჯოლის | 942 | 768 | +174 |
| 23 | ხიდისუბნის | 933 | 806 | +127 |
| 24 | ლაგოდეხის | 911 | 774 | +137 |
| 25 | დუშეთის | 906 | 850 | + 56 |
| 26 | შესტინის | 903 | 870 | + 33 |
| 27 | ყვარლის | 900 | 826 | + 74 |
| 28 | გაგრის | 893 | 831 | + 62 |
| 29 | კაჭრეთის | 879 | 774 | +105 |
| 30 | ონის | 876 | 772 | +104 |
| 31 | ახმეტის | 871 | 806 | + 65 |
| 32 | ჯავის | 857 | 769 | + 88 |
| 33 | ზნაურის | 855 | 646 | +209 |
| 34 | ახალციხის | 852 | 686 | +166 |
| 35 | აბაშის | 844 | 727 | +117 |
| 36 | ტყიბულის | 843 | 555 | +288 |
| 37 | ორჯონიკიძის | 839 | 748 | + 91 |
| 38 | ქარელის | 829 | 747 | + 82 |
| 39 | ზუგდიდის | 828 | 689 | +139 |
| 40 | ხაშურის | 810 | 721 | + 89 |
| 41 | ადიგენის | 809 | 683 | +126 |
| 42 | ლენინგორის | 793 | 676 | +117 |
| 43 | თიანეთის | 792 | 705 | + 87 |
| 44 | ხულოს | 777 | 664 | +113 |
| 45 | ჩოხატაურის | 764 | 668 | + 96 |
| 46 | წყალტუბოს | 756 | 733 | + 23 |
| 47 | ქუთაისის | 747 | 665 | + 82 |
| 48 | საჩხერის | 745 | 740 | + 5 |
| 49 | სამტრედიის | 727 | 663 | + 64 |
| 50 | ცაგერის | 727 | 694 | + 33 |
| 51 | ყაზბეგის | 726 | 727 | — 1 |
| 52 | კასპის | 719 | 689 | + 30 |
| 53 | სოხუმის | 701 | 617 | + 84 |
| 54 | ცხაკაიას | 700 | 657 | + 43 |
| 55 | წალენჯიხის | 695 | 556 | +139 |
| 56 | ლენტეხის | 677 | 552 | +125 |
| 57 | გალის | 670 | 653 | + 17 |
| 58 | გუდაუთის | 664 | 684 | — 20 |
| 59 | ოჩამჩირის | 662 | 613 | + 49 |
| 60 | ზესტაფონის | 662 | 670 | — 8 |
| 61 | ლანჩხუთის | 657 | 556 | +101 |
| 62 | ამბროლაურის | 649 | 636 | + 13 |
| 63 | ჭიათურის | 649 | 629 | + 20 |
| 64 | ვანის | 644 | 568 | + 76 |
| 65 | გულრიფშის | 613 | 548 | + 65 |
| 66 | ხობის | 592 | 500 | + 92 |
| 67 | მაიაკოვსკის | 590 | 637 | — 47 |
| 68 | ჭიდის | 581 | 540 | + 41 |
| 69 | შუახევის | 567 | 522 | + 45 |
| 70 | ჩხოროწყუს | 546 | 468 | + 78 |
| 71 | გუდაუთის | 544 | 437 | +107 |
| 72 | წულუკიძეს | 508 | 475 | + 33 |
| | აჭარის ასს რესპუბლიკაში | 983 | 875 | +108 |
| | სამხრეთ-ოსეთის ა. ოლქში | 875 | 744 | +131 |
| | აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში | 662 | 607 | + 55 |

სულ 1957 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მოწველილია ძროხებისა და ფურკამეჩების რძე 144.500 ტონა, ანუ 14.600 ტონით მეტი, ვიდრე 1956 წლის შესაბამის პერიოდში. 1957 წლის ნოემბერში მოწველილია 5.300 ტონა, 1956 წლის ნოემბერში მიღებული 4.300 ტონის ნაცვლად.

მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობის წლიური გეგმა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ვადამდე შესრულებულია. 1 დეკემბრისათვის საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 962 კილოგრამი — 112 კილოგრამით მეტი, ვიდრე წლიური გეგმით იყო გათვალისწინებული და 167 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1956 წლის შესაბამის პერიოდში.

რთველი გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში. (სურათი გადაღებულია მომდინარე წლის ოქტომბერში).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

# აღვზაარდოთ მშრომელები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით

მშრომელთა აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით დიდი ადგილი დაუთმო კიროვის რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ. რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სირაძემ, რომელიც შეეხო მასებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდას, აღნიშნა, რომ ხალხთა მეგობრობის საკითხებზე სისტემატიურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები, მეგობრობის საღამოები, აგიტატორები მართავენ საინტერესო საუბრებს. წრეებსა და პოლიტსკოლებში დიდი ადგილი ეთმობა თემებს ხალხთა შორის მეგობრობასა და ძმობაზე.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში დიდ როლს ასრულებს მომძე რესპუბლიკების მშრომელებთან პატრიოტული შეჯიბრება. ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ერევნელ და რიგელ თანამოძმეებთან. კოტონ-წინდების ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ეჯიბრებიან რიგელებს, ხოლო ბამბის ფაბრიკის მუშები — აზერბაიჯანის სსრ ქალაქ აღსტაფის მებამბეებს. აღსანიშნავია რაიონის სკოლების მოსწავლეთა მეგობრობა მოსკოვის, რიგის, ლაიპციგის, ერევნის მოსწავლეებთან.

საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ეწყობოდა დელეგაციების გაცვლა გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის, ცალკეულ ოპერაციებზე მომუშავე ადამიანთა მივლინებები საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოებში. ამასთან ერთად წარმოებდა გულთბილი მიწერმოწერა, ამანათების გაგზავნა და ა. შ. ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა გამოცდილების დანერგვა, მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შეცვლა, სრულყოფა და ძირეულ პარტიულ რგოლებთან მიახლოება დიდად დაეხმარა რაიონის საწარმოებს მუშაობის გაუმჯობესებაში. 10 თვის გეგმა შესრულებულია 104,2 პროცენტით.

როგორც პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რაიონის საწარმოებს უკეთესი მაჩვენებლები ექნებოდათ, უფრო უნარიანად და მოფიქრებულად რომ იყენებდნენ ადგილობრივ რეზერვებს, ხოლო პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები უფრო ღრმად რომ სწვდებოდნენ წარმოების ეკონომიკას. კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეების მეცადინეობა, — თქვა ამხ. ვ. სირაძემ, — ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე. ყოველივე ამითაც აიხსნება, რომ რაიონის სამი სამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებას, ხოლო ბევრ საწარმოში კვლავ დიდია წუნის გამოშვების შემთხვევები. წელს წუნის გამოშვების გამო ფაბრიკა „კომკავშირელმა“ 50.000 მანეთი იზარალა. ამავე მიზეზით დიდი ზარალი ნახეს აგრეთვე № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკამ და სხვ.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ ხანებში სერიოზულ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივი ქონებისა და მშრომელთა პირადი ქონების ურყევად დაცვას. ამ მხრივ რაიონის პარტიული ორგანიზაციების, მილიციისა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოების მუშაობას მაინც გაუმჯობესება ესაჭიროება. კვლავ დიდია გაფლანგვა-განიავების ფაქტები. ამ საკითხზე ვრცლად ილაპარაკეს მომხსენებელმა, რაიონული მილიციის უფროსმა ა. ტიტკოვმა, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ პარტბიუროს მდივანმა შ. ჯითანავამ და სხვებმა.

ძაფსართავი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ო. ღამბაშიძემ გააკრიტიკა პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი. მან თქვა, რომ პარტიის მიერ განხორციელებულმა დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო დაუახლოვა პარტიული ხელმძღვანელობა მასებს, ახლა საჭირო აღარ არის ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისათვის რაიკომში ვიაროთ, ვეძებოთ იქ ინსტრუქტორები და სხვ., მაგრამ რაიკომმა ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებთან დაახლოებისათვის მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგა.

ამხ. ღამბაშიძე შემდეგ შეეხო მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების მიმდინარეობას და თქვა, რომ რაიკომი ზოგჯერ პატივს არა სცემს თავის გადაწყვეტილებას. მაგალითად, გასულ, მე-17 პარტიულ კონფერენციაზე რაიკომს დიდი მოთხოვნები წაუყენეს რაიონში სავაჭრო ქსელის სწორად განლაგების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაძლიერების, მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ეს მოთხოვნები გათვალისწინებულ იქნა წინა კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებაში, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე დელეგატები საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობაზე დასასწრებად.

* * *

ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. სირაძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. გაფრინდაშვილი, მდივნად — ამხ. შ. კულულაშვილი.

## მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივმა წარმატებით იშრომა მიმდინარე წელს და წლიური დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. ისინი ახლა 1958 წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში წარმოების ბევრი მუშაკი დაწინაურდა. მათ შორის არიან გორის ბამბეულის ჭსოვილების კომბინატის, თბილისის ავტომშკეთებელი ქარხნის და სტალინირის ლუდის ქარხნის მოწინავე ადამიანები.

გორის ბამბეულის ჭსოვილების კომბინატის საქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე გიორგი ბილიშვილი და მჭსოველი ვალენტინა გორიაჩკინა, რომლებიც დავალებას 135-140 პროცენტით ასრულებენ.

თბილისის ავტომშკეთებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი ხ. ცისკაძე, რომელიც ყოველდღიურად სამ ნორმას იძლევა.

სტალინირის ლუდის ქარხნის მოწინავე მუშა-ტრაქტორისტი გ. ელბაჭიძე მუშაობის დროს.

# საბჭოთა მთავრობის ნოტა იაპონიის მთავრობისადმი

სსრ კავშირის საელჩომ იაპონიაში ამა წლის 5 დეკემბერს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა შემდეგი ნოტა.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩო თავის პატივისცემას უდასტურებს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და საბჭოთა მთავრობის დავალებით პატივი აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და მტკიცედ მოითხოვს შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის ყოველგვარი გამოცდა და ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრის ინტერესებისათვის საჭიროდ მიაჩნია, რომ ასეთი შეწყვეტა განხორციელდეს განიარაღების სხვა საკითხებზე შეთანხმების მიღწევისაგან დამოუკიდებლად. ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა უეშველია შესაძლებელს გახდიდა ბოლო მოეღოს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საშიში იმ რადიაციის დონის შემდგომ ამაღლებას, რომელიც წარმოიშობა ატომგულის იარაღის გამოცდის შედეგად. ამ ღონისძიების განხორციელება სერიოზული დაბრკოლება იქნებოდა ამ იარაღის უფრო ძლიერ დამანგრეველ სახეობათა შექმნის გზაზე, ხელს შეუწყობდა განიარაღების სხვა საკითხებზე შეთანხმების უსწრაფეს დადებასა და საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

საბჭოთა მთავრობა დადებითად მოეპყრო მთელ რიგ ნაბიჯებს, რომლებიც იაპონიაში გადაიდგა და რომლებიც თითქოს მიმართული იყო ამ მიზნის უსწრაფესად განხორციელებისაკენ. საბჭოთა კავშირში კეთილმოსურნეობით შეაფასეს იაპონიის პარლამენტის რეზოლუციები ატომგულის გამოცდის საკითხზე, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესიაზე საერთო დისკუსიაში და იაპონიის პრემიერ-მინისტრის 1957 წლის 24 სექტემბრის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი, რომლებშიც აღიარებული იყო, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საპასუხო წერილში კმაყოფილებით იყო აღნიშნული ჩვენი ქვეყნების თვალსაზრისთა დამთხვევა, რომ ატომგულის გამოცდის შეწყვეტა, როგორც აღნიშნული იყო იაპონიის პრემიერ-მინისტრის წერილში, უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაველოდოთ განიარაღების სხვა საკითხებზე შეთანხმების მიღწევას. ჩვენი ქვეყნები რომ ერთად წამოაყენებდნენ ასეთ წინადადებას, ეს ბევრად შეუწყობდა ხელს გამოცდის შეწყვეტის საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტას.

მაგრამ 30 ოქტომბერს პირველ პოლიტიკურ კომიტეტში, როცა საერთო დისკუსია განიარაღების შესახებ დასკვნის სტადიაში იყო, გამოვიდა იაპონიის წარმომადგენელი, რომელმაც ბაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიის რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს მჭიდრო კავშირს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტასა და სამხედრო მიზნებისათვის ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტას შორის. იაპონიის ასეთი პოზიცია ემთხვევა დასავლეთის სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის — პოზიციას, რომლებიც გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტას. ცნობილია, რომ ამ სახელმწიფოთა მთავრობები ვერ ბედავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიკავონ ამ საკითხში შეუნიღბავი, აშკარად უარყოფითი პოზიცია, რადგან ეს, უეჭველია, მათ მეტად ძნელ მდგომარეობაში ჩააყენებდა როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე საზოგადოებრივი ძალების თვალში არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ მათს საკუთარ ქვეყნებშიც. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები თავიანთი მიზნების მიღწევას ცდილობენ რამდენადმე შენიღბული გზით. ისინი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს აკავშირებენ განიარაღების სხვა საკითხებთან, რომლებზეც ამჟამად, აგრეთვე თვით დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო, უეჭველია, არ შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება, კერძოდ, ამ საკითხს ისინი აკავშირებენ სამხედრო მიზნებისათვის — ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტასთან.

იაპონიის მთავრობისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ სამხედრო მიზნებისათვის ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტის საკითხი წარმოადგენს ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის საკითხის განუყრელ ნაწილს, რომელიც შეიცავს უწინარეს ყოვლისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენების აკრძალვას, აგრეთვე ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტას, ხოლო ამ ღონეების სახელმწიფოთა შეიარაღებიდან და ამ იარაღის არსებული მარაგის მოსპობას.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ისეთ პირობებში, როცა არ არსებობს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვის შესახებ, სამხედრო მიზნებისათვის ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტის შესახებ წინადადებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების საქმისათვის. პირიქით, ასეთ წინადადებას შეუძლია მხოლოდ გააუარესოს საერთაშორისო ვითარება.

დასავლეთის სახელმწიფოთა ასეთი წინადადების — მეტიც თავად მისი არსის — უარყოფის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მისწრაფება არ დაუშავ შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა დასავლელმა მოკავშირეებმა აიღეს იმის კურსი, რომ ატომური და წყალბადის იარაღი გახადონ თავიანთი შეიარაღების ძირითად საშუალებად. ამის შესახებ ცოტა ოფიციალური განცხადება როდი არსებობს. ამასვე მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მაკმილანის უკანასკნელი ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მთელ თავიანთ იმედს ისინი ამყარებენ იმაზე, რომ „ჰქონდეთ“ ატომგულის იარაღი და რომ ისინი მოითხოვენ ატომგულის იარაღის როგორც „დამაშინებელი ძალის“ გამოყენებას.

ამრიგად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათს დასავლეთელ მოკავშირეებს არა სურთ აიკრძალოს ატომგულის იარაღის გამოყენება, უარს ამბობენ ატომური და წყალბადის იარაღის დაგროვებული მარაგის ლიკვიდაციაზე. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კიდევ უფრო „სრულყონ“ ეს იარაღი. ამის განსახორციელებლად ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ სულ ახალ და ახალ სახეობათა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას. იმისათვის, რომ მოსპონ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე შეთანხმების ყოველგვარი შესაძლებლობა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს საკითხი დაუკავშირეს სამხედრო მიზნებისათვის ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტის საკითხს.

ინგლისის მთავრობა, რომელიც ამჟამად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ატომგულის იარაღის წარმოების ფართო პროგრამას და ამ მიზნით აწარმოებს ატომგულის იარაღის გამოცდას, აგრეთვე გადაჭრით განწყობილია იმის წინააღმდეგ, რომ მიღწეულ იქნას რაიმე შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ასეთი გამოცდის ახალი სერიის შესახებ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა 1957 წლის 1 ნოემბრის ნოტით. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ისევე, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდას ეწევა შორს თავისი ტერიტორიის ფარგლებიდან, შუაგულ ზღვაში, სამხრეთა ზღვების რაიონებში და სპორტხეს უქმნის იმ კუნძულების მოსახლეობას, რომლებიც შედიან გამოცხადებულ სამშიშ რაიონში, ან მას ესაზღვრებიან.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს წინადადება სამხედრო მიზნებით ხელჩაღი მასალების წარმოების შეწყვეტის შესახებ სრულიადაც არ შემოაქვთ იმ მიზნით, რომ ნაბიჯი გადადგან წინ განიარაღების საქმეში. ისინი ემყარებიან იმას, რომ ასეთი წინადადება ხელს შეუშლის შეთანხმების მიღწევას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ კიდევაც რომ მიღებულ იქნას იგი, ეს სრულიადაც არ დაარღვევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელჩაღი მასალების დაგროვებული უდიდესი მარაგისაგან ატომური და წყალბადის იარაღის წარმოების მათ გეგმებს, და მათ მიერ ამ იარაღის წარმოება სრული ძალით გაგრძელდებოდა.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის დაკავშირება განიარაღების სხვა საკითხებთან ემსახურება იმ მიზნებს, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები ამ საკითხში ისახავენ, სახელდობრ — არ დაუშვან შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ძნელია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ის პოზიცია, რომელიც იაპონიის დელეგაციამ დიკავა გენერალური ასამბლეის XII სესიაზე და რომელიც არსებითად ემთხვევა დასავლეთის სახელმწიფოთა აღნიშნულ პოზიციას, შეეუთანხმოთ იაპონიის მთავრობის განცხადებებს, რომ იგი ესწრაფვის ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გამოთქვას მწუხარება იმის გამო, რომ იაპონიის მთავრობამ და მისმა დელეგაციამ გენერალურ ასამბლეაში ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში დაიკავეს პოზიცია, რომელიც ემთხვევა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციას, რამაც, უეჭველია, გააუარესა ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შანსები.

საბჭოთა მთავრობას სურს გამოთქვას იმედი, რომ იაპონიის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხი არ დაუკავშიროს განიარაღების სხვა საკითხებს, რათა ამით გააადვილოს შესაბამის სახელმწიფოთა შეთანხმება ამ სახეობათა ატომგულის იარაღის გამოცდის გადაუდებელი და უთუო შეწყვეტის, როგორც ატომგულის იარაღის სრული აკრძალვის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯის, შესახებ“.

# მჭიდროდ ებრძოლოთ მთის რაიონის ეკონომიკას

ჯავის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით პარტიის XX ყრილობის შემდეგ, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობის შედეგად საგრძნობლად განვითარდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, აღმავლობის გზით მიდის მეცხოველეობა.

სწორედ ამ საკითხებზე იყო გამახვილებული ყურადღება პარტიის ჯავის რაიკომის მდივნის ამხ. პ. ხარებოვის საანგარიშო მოხსენებაში კონფერენციაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე სულ უფრო მტკიცდება მთის სოფლების ეკონომიკა. რაიონის კოლმეურნეობათა აღმავლობას საფუძვლად უდევს მშრომელთა აქტივობისა და ინიციატივის ამაღლება, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ზრდა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების და ხელმძღვანელობის პრინციპების ფართოდ დანერგვა, რაც პარტიის XX ყრილობის შემდეგ განხორციელდა. ყოველივე ამის შედეგად ამაღლდა კოლმეურნეობის გეგმაშეწონილი განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი გაფართოება მოწინავე ტექნიკის ბაზაზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულად დაკმაყოფილების, საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისა და მათი ყოველმხრივი განვითარების მიზნით.

ახლა, როცა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად სულ უფრო ცხადად ისახება კომუნისტური საზოგადოების კონტურები, სავსებით კანონზომიერია ხაზგასმით აღვნიშნოთ სოციალიზმისა და კომუნიზმის არა მარტო საერთო თვისებები, არამედ არსებითი განსხვავებებიც მათ შორის. ეს შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ წინსვლის პერსპექტივები, შევიმუშაოთ კომუნისტური მშენებლობის მეცნიერული პროგრამა.

სოციალიზმი წარმოადგენს იმ საზოგადოებას, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა კაპიტალიზმის წიაღიდან და ამიტომ მას ჯერ კიდევ ახლავს ძველი საზოგადოების კვალი. სოციალისტური წყობილება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალ დონეს, მისი ზრდის ისეთ ტემპებს, რომლებიც კაპიტალიზმის დროს მიუწვდომელია. მაგრამ ეს დონე ჯერ კიდევ ვერ ქმნის მატერიალური დოვლათის ისეთ სიუხვეს, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ დოვლათის განაწილებას საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების მიხედვით. სოციალიზმის სტადიაში არსებობს საზოგადოებრივი საკუთრების ორი ფორმა — სახელმწიფოებრივი, საყოველთაო-სახალხო, და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო. სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ დარჩენილია საქონელწარმოება და საქონლურ-ფულადი მიმოქცევა ადგილს დაუთმობენ წარმოებასა და განაწილებას კომუნისტურ საწყისებზე, ფულის გამოუყენებლად. გაქრება არსებითი განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. შეიქმნება ისეთი საზოგადოება, სადაც წარმლება ზღვარი, გაქრება არსებითი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის, აგრეთვე ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის როგორც ეკონომიური, ისე კულტურულ-ტექნიკური მხრივ. ყველაფერი ეს საზოგადოებას მიიყვანს იქამდე, რომ შრომა ყველა ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაიქცევა.

საბჭოთა ხალხის გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა ამჟამად ექვემდებარება სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის განხორციელების ამოცანას.

თანმიმდევრულად ახორციელებენ რა სოციალიზმის აშენების ლენინურ გეგმას, კომუნისტური პარტიის მიერ მტკიცედ შეკავშირებულმა საბჭოთა კავშირის ხალხებმა პარტიის ხელმძღვანელობით ვეშმარიტად დიად წარმატებებს მიაღწიეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ძირითადი ეკონომიური ამოცანა — ისტორიულად უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

საგეგმო ორგანოების გაანგარიშებანი შესაძლებლობას გვაძლევენ ვივარაუდოთ, მატერიალური დოვლათის სიუხვის მისაღწევად რა მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა შეიძლება სსრ კავშირს უახლოეს 15 წელიწადში.

დიდებული პერსპექტივები ისახება ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშეც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მარცვლეულის წარმოება უნდა გავადიდოთ 11 მილიარდ ფუთამდე წელიწადში. მეცხოველეობის განვითარების უახლოესი პერსპექტივაა დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. სოფლის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით იბრძვიან ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ შორს აღარ არის დრო, როცა სსრ კავშირი მიაღწევს და გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელ დონეს.

საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებასთან ერთად და მათს საფუძველზე გადაწყდება კომუნისტური საზოგადოების პრინციპების განხორციელების სხვა ამოცანებიც.

კომუნისტური საზოგადოების აშენება მოითხოვს ძირეულ ძვრებს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში.

საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას განათლების დონისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების მხრივ. ამან უკვე მოგვცა თავისი შედეგები მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებაში, შესაძლებლობა მისცა სსრ კავშირს პირველ ადგილზე გამოსულიყო მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების მხრივ, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების შექმნის მხრივ. სწორედ ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ დაიწყო ახალი ეპოქა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, გადადგა პირველი ნაბიჯი სალაბორატორიო სივრცეების დაპყრობაზე კაცობრიობის გაბედული ოცნების განხორციელებაში.

* * *

საბჭოთა ადამიანები დარწმუნებულნი არიან, რომ უახლოეს ხუთწლედებში გადაწყვეტენ სსრ კავშირის ძირითად ეკონომიურ ამოცანას, შექმნიან კომუნიზმის მატერიალურ-საწარმოო ბაზას. ჩვენს წარმატებით წინსვლას კომუნიზმისაკენ ხელს უწყობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობა, სოციალისტური ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, მათი ეკონომიური განვითარების გეგმების კოორდინაცია. მხარდამხარ, შემჭიდროებულ მწყობრად მიდიან წინ თავიანთი ნათელი მომავლისაკენ საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და ევროპისა და აზიის სხვა სოციალისტური ქვეყნები.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას გრძნობლად და გაბედულად მიჰყავს ჩვენი სამშობლოს ხალხები კომუნიზმის უმაღლესი ფაზისაკენ.

ა. კოკრიაგინი.

# კომუნიზმი ჩვენი ნათელი მომავალია

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა მრავალი თაობის პროგრესულ ადამიანთა ოცნება, რომელნიც მხურვალედ მისწრაფოდნენ იმისაკენ, რომ თავისუფალი და ბედნიერი ეხილათ კაცობრიობა.

დრომოჭმულ და დაჩაჩანაკებულ კაპიტალისტურ წყობილებას ამჟამად ცვლის სოციალიზმი, როგორც საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა მოქმედების შედეგი. კლასობრივი ბრძოლა, რომელიც მთავრდება პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით, წარმოების საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებად გადასვლით, — ასეთია მშრომელთა განთავისუფლების, ახალი, სოციალისტური წყობილების შექმნის ერთადერთი გზა, რომელიც ნაჩვენებია მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ. სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში, სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩინეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში სავსებით ადასტურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური თეორიული დასკვნების სისწორეს.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ორმოცი წელი აღნიშნულია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით. პირველად აშენდა სოციალისტური საზოგადოება და წარმატებით ხორციელდება თანდათანობითი გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმზე. ხალხთა თვალწინ სულ უფრო მკაფიოდ ისახება კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზის კონტურები.

კომუნისტური საზოგადოების ორივე ფაზას ახასიათებს: წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობა, ექსპლოატატორული კლასებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის არარსებობა, ეკონომიკის მატერიალური დაინტერესება და საზოგადოებრივი მეურნეობისათვის პასუხისმგებლობა.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ა. ჯიოევა (სოფელი მაგკოთა), ს. ბაგაევა (სოფელი ქოთანთო), სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსმა გ. თედეევმა აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდასთან ერთად წარმატებით სრულდება სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კარაქისა და კვერცხის, აგრეთვე მეცხოველეობის სხვა პროდუქტების ჩაბარებისა და მიყიდვის დავალებები.

მთის სოფლების ეკონომიკის აღმავლობის შედეგად გაიზარდა კოლმეურნეთა ხვედრი შრომადღეზე. წელს კოლმეურნეობებში 2-3-ჯერ მეტი პარცვლეული და კარტოფილი გასცეს შრომადღეზე, ვიდრე შარშან. საზოგადოებრივი დოვლათის ზრდამ კოლმეურნეობათა გამგეობებს და პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მისცა ფართოდ გაეშალათ საწარმოო ობიექტების მშენებლობა.

მომხსენებელი და კამათში სიტყვებით გამოსული დელეგატები დაწვრილებით ლაპარაკობდნენ ამ წარმატებებზე, მაგრამ მხედველობიდან როდი გამორჩათ ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის ზოგიერთი კოლმეურნეობის მუშაობაში. ძაგალითად, მეცხოველეობაში კვლავ ჩამორჩენილი არიან სოფლების რომკის, ჯომაღის, ნაკრებას, საგილზასის, კოლმეურნეობები.

კონფერენციამ დიდი ყურადღება დაუთმო აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა მუშაობის და სოფლის კულტურული მომსახურების საკითხებს.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. სანაკოევმა.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დასახა ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა პარტიის ჯავის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ჰ. ხარებოვი, მეორე მდივნად — ამხ. ი. თედეევი.

# კვევახარით საშობლოთ ყურძნის უხვი მოსავლით

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მევენახეობას მზრუნველი და მოამაგე არ ჰყავდა.

ჩვენი ქვეყნის უხვმოსავლიან მიწაზე ვენახის გაშენებას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიექცა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ დიდი მუშაობა გასწიეს მევენახეობის განვითარებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1953 წელს რესპუბლიკაში იყო 52.493 ჰექტარი ვენახი, ახლა უკვე 60.604 ჰექტარია, მათ შორის კოლმეურნეობებში გაშენებულია 29.556, საბჭოთა მეურნეობებში 8.795 და კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებში 27.253 ჰექტარი.

ჩვენი რესპუბლიკა ცნობილია ძვირფასი სამრეწველო ვაზის ჯიშებით, როგორიც არის გორული მწვანე, ალიგოტე, პინო, ალექსანდრეული, ცოლიკაური, საფერავი, ციცქა, ოჯალეში, ჩხავერი, კრახუნა, რაჭული თეთრა და სხვ.

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია ახალშენი და მოსავლიანი ვაზის გაშენებისა და დატვირთვა-ფორმირების გაუმჯობესებული წესები, დადგენილია ღონისძიებები ყინვისა და სეტყვისაგან დაზიანებული ვენახების გამოსწორების სხვლის საშუალებით.

ინსტიტუტის მუშაკების მიერ შესწავლილი და დაზუსტებულია ბუნებრივი ღვინოების — ატენურის, ჩხავერის, ალადასტურის და ტვიშის, აგრეთვე ბუნებრივად ტკბილი და ნახევრადტკბილი ღვინოების — ხვანჭკარის, ოჯალეშის. ქინძმარაულის და უსახელაურის ტექნოლოგია. შექმნილია ვაზის სამყნობი კომბინირებული მანქანა, რომელიც ერთ აგრეგატზე აწარმოებს ერთსა და იმავე დროს საძირე და სამყნობი მასალის დახარისხებას, მყნობასა და დამყნობილი ადგილის შეხვევას.




## გავაღიდოთ სარწყავი ფართობები

ბაკურციხელმა კოლმეურნეებმა საკუთარი გამოცდილებით იციან, თუ რა შემოსავლიანი და რენტაბელური დარგია მევენახეობა. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ ვენახების ფართობის გადიდებისათვის. შარშან და წელს 60 ჰექტარი ახალი ვენახები გავაშენეთ. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის გეგმით 200 ჰექტარი ვენახი უნდა გვქონდეს, მაგრამ გადავწყვიტეთ გეგმის ზევით 50 ჰექტარი გავაშენოთ და ვენახების საერთო ფართობი 250 ჰექტარამდე ავიყვანოთ.

ახალი ვენახების გაშენების გეგმის განხორციელებაში ხელს გვიშლიდა ფილოქსერაგამძლე ვაზის საკუთარი სადედე მეურნეობის უქონლობა. შარშან გადავწყვიტეთ ბოლო მოგვეღო ასეთი მდგომარეობისათვის. ამ მიზნით ორ ჰექტარზე გასაშენებლად ლერწი შევიძინეთ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის ზონალურ სადგურში. ლერწი წესიერად დავრგეთ, კარგადაც მოვუარეთ, მაგრამ არ გაიხარა. როგორც შემდგომ გამოირკვა, სადგურს ჩვენთვის უხარისხო მასალა მოეცა. სწორი გითხრათ, არ ვიფიქრებდით, რომ სადგური, რომელიც მოწოდებულია ჭედითად დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკოსებს მოსავლიანობის ამაღლებაში, ასე გაგვაწბილებდა.

ამის გამო, რომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და მისი ალაზნის სასისტემო სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ არსებული არხების რემონტს და ახალი

არხების მშენებლობას, წელს მოურწყავი დაგვრჩა რამდენიმე ათეული ჰექტარი ვენახი, რითაც ხელიდან გავუშვით მრავალი ცენტნერი ყურძენი.

საყვედური გვეთქმის აგრეთვე ცეკავშირისა და საქსოფლმომარაგების ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებსაც რაიონში საჭიროების მიხედვით არ შემოაქვთ სასუქები, საყრდენი მასალა, მავთული და სხვ.

**შ. ნიბლაძე,**

გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ქართული ყურძნის ბარაქა. ფოტოეტიუდი შ. გოქაძისა.

## ფართო გზა — მექანიზმებს

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები სულ უფრო განამტკიცებენ შემოქმედებითს თანამეგობრობას მევენახეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ამ თანამეგობრობის ძირითადი შედეგი ის არის, რომ კოლმეურნეობებში თითქმის მთლიანად მექანიზებულია ყველაზე რთული შრომატევადი პროცესი — რიგთა შორის დამუშავება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ, მექანიზატორები, დღემდე ვალში ვართ კოლმეურნეთა წინაშე და ყოველივე შესაძლებელს არ ვაკეთებთ მევენახეობის აღმავლობისათვის.

სამ წელზე მეტია წარმოებაში ვერ დავნერგეთ ვენახის შესაწამლი აპარატი, რომელიც „კდ-35“ მარკის ტრაქტორზეა მოწყობილი. ამის მიზეზი ის არის, რომ მცირე რაოდენობით გვაქვს ამ მარკის ტრაქტორები, ხოლო რაც გვაქვს, ისიც მოძველებული და ექსპლოატაციისათვის უვარგისია. ამის გამო თვით მწკრივთა შორის დამუშავებასაც ძალების დიდი დაძაბვის შედეგად ვახერხებთ. აღსანიშნავია, რომ სამ წელზე მეტია შეწყდა „კდ-35“ მარკის ტრაქტორების გამოშვება, სხვა ახალი მარკის ტრაქტორების გამოშვების მიზნით. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი ჩანს და არც მეორე. თუ შემდგომში ასე გაგრძელდა, ვენახების მწკრივთა შორის დამუშავებაც გაგვიჭირდება.

არასაკმაო რაოდენობით ვიღებთ სპალანტაქე გუთნებს, ვენახების მწკრივთა შორის დასამუშავებელ გუთნებსა და კულტივატორებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მივიღეთ ვენახის მწკრივთა შორის დასამუშავებელი მარტო ორი საკიდი გუთანი, მაშინ როცა წლის მანძილზე ათი გუთანი მაინც გვჭირდება. არც გუთნის სათადარიგო ნაწილებით გვამარაგებენ.

როგორც ცნობილია, აგრონომ ზ. კვირიკაშვილის მიერ კონსტრუირებულმა გუთანმა იმედი გაამართლა, მაგრამ აქამდე იგი

მხოლოდ საცდელი მიზნით გამოუშვეს და მისი სერიული გამოშვებისათვის არავის არ უზრუნია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლება, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს მექანიზატორთა ბრძოლას მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

**დ. როსტომაშვილი,**

გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი.

## ჩვენი ვალდებულება

მევენახეობა ორჯონიკიძეს კოლმეურნეთა ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის მთავარი წყაროა. ამიტომ ჩემი რგოლის წევრებს ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ღონისძიებისა და სახელის საქმედ მიჩნიათ. თანმიმდევრულად ვახორციელებთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, რასაც სასიხარულო შედეგები მოსდევს. წელს 2.45 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 105,2 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ. რგოლის წევრებმა შრომის დამატებითი ანაზღაურებით 11.997 მანეთი მიიღეს.

ვიკისრეთ 1958 წელს ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 125 ცენტნერამდე ავიყვანოთ, რისთვისაც ახლა წარმატებით ვაწარმოებთ ვენახების საზამთრო სამუშაოებს.

**მ. კიკნაძე,**

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ საღანძილის კოლმეურნეობის მეურგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

## ყველა სამუშაო ძირითადია

— ახალგაზრდა კი ხარ, მაგრამ ხანდაზმულებს ვერ აჯობებ, ჰექტარზე სამუალოდ ოცი ცენტნერი ყურძენი თუ მიიღე, კარგი ვაქაცი ხარ — „მაშინებდნენ“ ზოგიერთნი ამ ათიოდე წლის წინათ, როცა ბრიგადირობა დამაკისრეს.

მათმა ნათქვამმა ცოტა არ იყოს დამაფიქრა, რადგან ბრიგადაზე მოსავლელად მიჩენილი ვენახები მაშინ სავალალო მდგომარეობაში იყო. გაყამირებულ ნიადაგში ვაზის მეჩხერიანობა ოც პროცენტს აღემატებოდა, ზოგან მცენარე ისე იყო დაკნინებული, რომ თითო-ოროლა მტევანზე მეტი არ ესხა.

სიძნელეები იყო, მაგრამ მათი დაძლევა შეიძლებოდა და კიდევაც დავძლიეთ. აგრონომთან ერთად ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებები შევიმუშავეთ და მათ განხორციელებას შევუდექით. ბეჯითმა შრომამ სასიხარული ნაყოფი გამოიღო.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ მევენახეობაში ყველა სამუშაო ძირითადია. ავიღოთ თუნდაც ქიმიკატებით მკურნალობა. ამ ორი წლის წინათ ერთ-ერთ ნაკვეთში შაბიამნის შესხურება ორიოდე დღით დაგვიგვიანდა. ამან მოსავალი 15 პროცენტით შეამცირა.

ბრიგადაში ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს ვიღებთ. წელს განსაკუთრებით ბარაქიანი შემოდგომა გვქონდა. 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 91 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ცენტნერისა. ბრიგადის ვენახებიდან კოლმეურნეობამ 900 ათას მანეთამდე შემოსავალი მიიღო.

ჩვენი ვალდებულებაა მომავალ წელს საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მოვკრიფოთ. ამ მიზნით ვენახებში სამუშაოდ გამო სამუშაოები ყველა წინა წელზე უკეთესად ჩავატარეთ.

**დ. ოტიაშვილი,**

ახმეტის რაიონის სოფელ მატნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## მოუგვარებელი „წვრილმანების“ შესახებ

ართანელ კოლმეურნეებს ვაზი უყვართ. იგი არც წინათ სძულდათ, მაგრამ კარგად რომ ვერ უვლიდნენ, ყურძნის მცირე მოსავალი მოჰყავდათ. მახსოვს, ერთ წელიწადს ვაზებს თავს მაყვლის ბარდებმა გადაუარა. არცერთი აგროტექნიკური ღონისძიება სათანადოდ არ განხორციელებულა. შედეგიც სავალალო იყო: ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერი ყურძენი.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობის ზვრებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ. კოლმეურნეები ყველა აგროტექნიკური ღონისძიების გატარებას დიდი გულისყურით ეკიდებიან.

გასხვლის დროს თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად ვუდგებით. წინათ ყოველ ვაზს 8-12 კვირტს ვუტოვებდით, „მეტი არ შეიძლებაო“, ასე გვასწავლიდნენ. ამ აზრის სიმცდარეში პრაქტიკულად დავრწმუნდით. ახლა თვითეულ ვაზს 20-30 სანაყოფეს ვუტოვებთ, წელს მეტად დავტვირთავთ ვენახებს.

3-4 წლის წინათ ჩვენს ვენახებში მეჩხერიანობა ოც და მეტ პროცენტს უდრიდა. მეჩხერიანობას ნამდვილი ბრძოლა გამოვუცხადეთ, გადაწვენითა და გამორგვით ვენახებს ათეულ ათასობით ძირი ვაზი შევმატეთ.

ყველა სხვა ღონისძიებასაც დროულად, უნაკლოდ ვახორციელებთ. შედეგიც კარგია. 50 ჰექტარი სრულფასოვანი ვენახი თვითეულ ჰექტარზე წელს საშუალოდ 87 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში ბევრმა კოლმეურნემ ისახელა თავი. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია მერგოლური გ. იგრიაშვილი, რომელმაც ათი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 108 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

87 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე ზღვარი როდია. ორი ამდენი მოსავლის მიღებაც შეგვიძლია, თუ კი მეტი დახმარება გვექნება. მარტო წელს 16 ჰექტარი ახალი ვენახი გავაშენეთ, კვლავაც გავაშენებთ, მაგრამ მას ხომ შაპალერზე გადაყვანა სჭირდება? მავთულს ვერსად ვერ ვშოულობთ. შაბიამნის შესასხურებელი აპარატებიც იშვიათად მოდის და რასაც ვშოულობთ, ისიც უვარგისია. გასაყიდად გამოტანილი ვაზის სამყნობი დანები ორ-სამ დღეში იმტვრევა. განა არ შეიძლება ამ „წვრილმანების“ მოგვარება?

**ვ. ჯიქურაშვილი,**

თელავის რაიონის სოფელ ართანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის

მეექვსე ხუთწლედში საქართველოში საგრძნობლად გაიზრდება ვენახების ფართობი და ყურძნის საშუალო მოსავლიანობა. დასახული გეგმით ხუთწლედის ბოლოსათვის ჩვენში ვენახების ფართობი 1956 წლის 58.175 ჰექტარიდან 80 ათას ჰექტარამდე იქნება აყვანილი, ხოლო ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე კოლმეურნეობებში სულ მცირე 60-65, საბჭოთა მეურნეობებში კი 75-80 ცენტნერს მიაღწევს.

კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ ამ სერიოზული ამოცანების განსახორციელებლად?

ვენახების ფართობის გაზრდისათვის ჩვენ მიწის საკმაო მასივები მოგვეპოვება. მაგრამ პირველ რიგში ათვისებულ უნდა იქნას ჯაგნარები და გატყევებული ადგილები, რომლებიც სხვა კულტურებისათვის ნაკლებად გამოსაყენებელია. ფართოდ უნდა იქნას კულტივირებული მევენახეობა შედარებით უფრო მაღალმთიან ადგილებში, ისეთებში, როგორიც არის ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ცაგერი, თიანეთი და სხვ., სადაც ჯერჯერობით ვენახების მეტად მცირე ფართობები უჭირავს. უფრო მეტად უნდა ავითვისოთ ამავე მიზნით ყამირი მიწები ტარიბანაზე, ზილიჩაზე და ივრის პირას. დასახლებულ ადგილებში, სადაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყო ვენახების გაშენება, მესამე-მეოთხე წელსვე ჰექტარზე 120-130 ცენტნერ ყურძენს იღებენ. ეს ნათლად ჩანს წითელწყაროს რაიონის სოფლების ზემო და ქედისა და გამარჯვების კოლმეურნეობათა მაგალითით.

ჩვენში ყურძნის მოსავლიანობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ვენახების დიდი მეჩხერიანობა. ზოგიერთ რაიონში (მარნეული, კასპი, კაპრეთი, ამბროლაური და სხვ.) სიმეჩხერე 30 პროცენტს აღემატება.

ყურძნის მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ვაზის სწორი ფორმირება და კვების არესთან შეფარდებული დატვირთვა. უკანასკნელ დრომდე ჩვენი ვენახები ძველი ქართული წესით ისხვლებოდა. ამ შემთხვევაში ვაზის გასხვლისას თვითეულ ძირზე 12-15 კვირტს ტოვებდნენ. მაგრამ თუ ეს წესი გამართლებული იყო ხშირადნარგავ ვენახებში, სრულიად გაუმართლებელია ახალ ვენახებში, სადაც მექანიზაციის ფართოდ გამოყენების მიზნით ვაზი შორიშორს ირგვება. აქ საჭიროა ვაზის უფრო მეტად დატვირთვა, რათა ჰექტარზე კვირტების სასურველი რაოდენობა მივიღოთ. მაღალი დატვირთვის ფორმებს შორის ფართოდ გავრცელდა და ჩვენში დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ რეკომენდებულმა თავისუფალმა ფორმამ. ეს ფორმა საშუალებას იძლევა კვირტების საერთო რაოდენობა ჰექტარზე 100-120 ათასამდე ავიყვანოთ და მოსავლიც 50-70 პროცენტით გავზარდოთ. ამ შემთხვევაში საჭიროა ვაზს 2-4 შტამბი მივცეთ და 2-3 სამამულე რქასთან ერთად დავუტოვოთ 3-5 სანაყოფე, რომლებიც შაპალერის პირველ და მეორე მავთულზე დაკავდება.

ვაზის შტამბი ყოველწლიური სხვლის გამო კოჭრდება, ფუტუროდება, ამის გამო მასზე წვენის მოძრაობა ძნელდება, მოსავალი მცირდება და მცენარეც ადვილად ბერდება. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა 5-6 წელიწადში ერთხელ შტამბის განახლება, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ მის ძირზე ამონაყარი რქები.

ვაზის ოპტიმალური დატვირთვის შეღწევა და თავისუფალი ფორმის გამოყენება მოითხოვს მცენარის კვების გაძლიერებას სასუქებით. თუ ამ ღონისძიებას დღემდე ყველგან საჭირო ყურადღება არ ექცევა, ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ სასუქების დიდ ფართობებზე შეტანა საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და ზოგჯერ კოლმეურნეობებს უჭირთ მისი საკუთარი ძალებით შესრულება. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უნდა დაჩქარდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ კონსტრუირებული სასუქის ღრმამშემტანი აპარატის სერიული გამოშვება.

ცნობილია, რომ ვენახის ნიადაგის ღრმად გაფხვიერების შედეგად ახლდება პლანტაჟი, უმჯობესდება ფესვების სუნთქვის პირობები და ცხოველმყოფელობა. — 3-4 პროცენტით დიდდება ნიადაგის ტენიანობა. ამიტომ 4-5 წელიწადში ერთხელ გამოყენებულ უნდა იქნას მწკრივთა შორის 50-60 სანტიმეტრ სიღრმეზე გამაფხვიერებლით დამუშავება.

მოსავლიანობის ზრდისა და ხარისხის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა ვენახში შპალერის მოწყობა. იგი არა მარტო აადვილებს შრომას, არამედ ქმნის მზის სხივებით სარგებლობის, კარგად დაყვავილებისა და ყურძნის უკეთ მომწიფებისათვის საჭირო პირობებს, ამასთანავე ანელებს მავნებელთა და სოკოგან ავადმყოფობათა განვითარებას.

ვენახების მდგომარეობასა და მათს მოსავლიანობაზე უარყოფითად მოქმედებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დაბალი დონე. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ამ მხრივ დასავლეთ საქართველოსა და ქართლის რაიონები, სადაც ყველა სამუშაო ხელით სრულდება. მეტწილ კოლმეურნეობებში ზაფხულში ნიადაგი კულტივატორით გაფხვიერების მაგიერ გუთნით იხვნება, რაც ყოველად დაუშვებელია, განსაკუთრებით მშრალ გვალვიან ადგილებში. საკოლმეურნეო ვენახებში იშვიათად ან სულაც არ იყენებენ ტრაქტორზე მოწყობილ შესასხურებელ და შესაფრქვევ აპარატებს მათი სიმცირის გამო. სოფლის მეურნეობაში და კერძოდ მევენახეობაში დიდი სარგებლობა მოაქვს ავიაციას. თვითმფრინავით შეფრქვევისას გოგირდი გაცილებით უკეთ და თანაბრად ნაწილდება ვაზის ყველა ნაწილზე, ვიდრე ხელით შეფრქვევის დროს, ამასთანავე ეს აჩქარებს და აიაფებს წამლობას. მიუხედავად ამისა, ამ წესით წამლობას თუ კახეთში შედარებით ხშირად იყენებენ, მას სრულიად არ აქცევენ ყურადღებას დასავლეთ საქართველოში.

სათანადო მანქანების უქონლობის გამო ჯერ კიდევ არ არის მექანიზებული მწკრივებში ვაზის ძირების დამუშავება, ავრეთვე ვიწრორიგიანი ვენახების რიგთა შორის დამუშავება. სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული მთიან რაიონებში ვენახები, სადაც პლანტაჟიც კი ხელით სრულდება.

არასაკმაო რაოდენობით უშვებს ჩვენი წარმოება ვენახზე სახმარ ისეთ წვრილ იარაღებს, როგორიც არის სეკატორი, ხერხი, თოხი, ბარი და სხვ. სრულიად უვარგისია და დიდ გაუმჯობესებას მოითხოვს სამყნობი დანები.

საქართველოში ადგილობრივი ყურძნის რამდენიმე ასეული ჯიში მოგვეპოვება. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. საჭიროა ჩვენმა მევენახე-სელექციონერებმა უფრო მეტი იმუშაონ ფილოქსერაგამძლე და ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ყველა პირობა აქვთ მთლიანად შეასრულონ მევენახეობის განვითარების დარგში მეექვსე ხუთწლედის დავალებანი.

**ს. ლომკაცი,**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ღვიძლი საქმე

მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით და შრომის სწორი ორგანიზაციით ვაღწევთ წარმატებას ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

წელს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ჩვენი ბრიგადის სახელით ვალდებულება ვიკისრე 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოგვეყვანა 80 ცენტნერი ყურძენი.

ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად ბრიგადის წევრთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ვენახის მოვლა-პატრონობა გავაძლიერეთ, ყველა სამუშაო აგროწესების დაცვით, მაღალხარისხოვნად შევასრულეთ. შემოდგომაზე ნიადაგში საკმაო დოზით შევიტანეთ ნაკელი, გაზაფხულზე დავამუშავეთ, მეორედ შევიტანეთ მინერალური სასუქი. ტენის შენარჩუნების მიზნით ნიადაგი სამჯერ გავთოხნეთ.

ჩვენთან წინათ ვაზის გასხვლაზე ყველა კოლმეურნე მუშაობდა. ეს სწორი არ იყო, რადგან გამოუცდელი მსხვლელები აფუჭებდნენ ვაზს. ახლა კი ასე როდია. გასხვლას, როგორც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას, მთავარ ყურადღებას ვაქცევთ. ამ საქმისათვის ყველაზე მცოდნე კოლმეურნეები გამოვყავით.

განუწყვეტლივ ვიბრძვით ვაზის დაავადებათა წინააღმდეგ. შაბიამნის ხსნარით წამლობა ხუთჯერ მოვახდინეთ. გოგირდი ოთხჯერ შევაფრქვიეთ.

ბრიგადის წევრთა ნაყოფიერმა შრომამ სასიხარულო შედეგი მოგვცა. საშუალოდ ჰექტარზე 97 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ და ამით მოსავლიანობის გეგმას 32 ცენტნერით გადავაჭარბეთ.

ჩვენი ბრიგადის ეს წარმატება ზღვარი როდია. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი 1958 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 110 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა.

**მ. გამსახურდაშვილი,**

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საბანოს კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## 206 ცენტნერი...

1949 წელს მოსავლად მომიჩინეს 0,5 ჰექტარი მეჩხერი და დაკნინებული ვენახი. ამ ნაკვეთზე წინა წლებში მიღებული 30,7 ცენტნერის ნაცვლად კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად წელს 103,1 ცენტნერი ყურძენი მივიღე, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 206,2 ცენტნერს შეადგენს და ორჯერ აღემატება საგეგმო დავალებას. წელს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით 10.200 მანეთი მივიღე.

წარმატებას აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ზუსტად განხორციელებით და სიმეჩხრის ლიკვიდაციით მივაღწიე.

შარშან შემოდგომაზე ვენახში ერთსა და იმავე დროს შევიტანე 10 ტონა ორგანული სასუქი და 500 კილოგრამი ფოსფორი. თებერვალში, მცენარეში წვენების მოძრაობის დაწყებამდე, ვაზი გავსხალე. ძლიერ მცენარეებს დავუტოვე 2-3 სანაყოფე რქა და 4 ნეკი. გასხვლის დროს ვაზების შტამბებს ქერქი მოვაცილე, ვენახის ნაპირას გავიტანე და დავწვი.



გასხვლის შემდეგ ნიადაგში შევიტანე 500 კილოგრამი სულფატამონიუმი და ჩავთოხნე 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე.

2-3 ფოთლის განვითარების შემდეგ ვაზი შევწამლე ბორდოს ერთპროცენტიანი ხსნარით. მეორე წამლობა ჩავატარე ყვავილობამდე, პირველი წამლობიდან 10-12 დღის შემდეგ, მესამე — ყვავილობის შემდეგ, ხოლო მეოთხე და მეხუთე — ყოველი 10-15 დღის შემდეგ.

ზაფხულში ნიადაგი ორჯერ გავთოხნე, რითაც მოვუსპე სარეველა ბალახები და მივაღწიე ნიადაგის ფხვიერ მდგომარეობას.

წინააღმდეგ. შაბიამნის ხსნარით წამლობა ხუთჯერ მოვახდინეთ. გოგირდი ოთხჯერ შევაფრქვიეთ.

ბრიგადის წევრთა ნაყოფიერმა შრომამ სასიხარულო შედეგი მოგვცა. საშუალოდ ჰექტარზე 97 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ და ამით მოსავლიანობის გეგმას 32 ცენტნერით გადავაჭარბეთ.

ჩვენი ბრიგადის ეს წარმატება ზღვარი როდია. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი 1958 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 110 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 ცენტნერისა.

**მ. გამსახურდაშვილი,**

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საბანოს კოლმეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## მაძლიანი საქმე

ჩვენებურ კაცზე ითქმის: ვაზის დიდი მეგობარიაო. ვაზს გასხლავს, ძირს შემოუბარავს და სიამოვნებით იტყვის — მაღლიანი საქმე გავაკეთეო.

ეს მაღლიანი ხელი აყლაო მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას წინათ. ახლა აქ ვაზს საუკეთესოდ უვლიან. კოლმეურნეობას საკოლმეურნეო შრომის მრავალი ნოვატორი ჰყავს. ერთი მათგანია 70 წლის მოხუცი კ. ჭელიძე საკოლმეურნეო შრომის ეს ვეტერანი ახლაც გაიხსენებს ხოლმე, რა სიყვარულით ჩაყარა პირველი ვაზი. რამდენიმე წელია იგი თავს დასტრიალებს ვაზს. მის ხელში არასოდეს არ გასჭირვებია ნაზ და საყვარელ მცენარეს.

კ. ჭელიძე

ამხ. ჭელიძე შემოდგომიდან შემოდგომამდე ისე უვლიდა ვენახს, რომ ნაკლი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა — მოიყვანა 75 ცენტნერი ყურძენი. ახლა იგი მომავალი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნავს.

— მე მიღწეულით როდი გავმაყოფილდები, — განაცხადა კ. ჭელიძემ, — მართალია, მოხუცი ვარ, მაგრამ საკოლმეურნეო მინდვრებში ზოგიერთ ახალგაზრდას არ ჩამოვრჩები. ჩემი პირობაა ჰექტარზე გადაყვანით მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთზე მოვიყვანო 100 ცენტნერი ყურძენი.

**შ. დესიშვილი.**

# ქრონიკა

## ბრძოლა ეკონომიის რეჟიმისთვის

**ბრძოლა ეკონომიის რეჟიმისთვის** — ასეთი სათაური ეწოდა ჩვენი რედაქციის მიერ ორგანიზებულ „მრგვალ მაგიდას“, რომელიც 1986 წლის 7 ივლისს გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ეკონომისტები, ჟურნალისტები.

მრგვალი მაგიდის მუშაობის შედეგები განხილულ იქნა ქალაქის პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე. ბიუროს დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით ბიურომ დაადგინა, რომ ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრების საქმეში ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად უნდა ჩაითვალოს ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრება, ენერგიის, მასალების, ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენება, ნარჩენების სრული ათვისება, ხელმისაწვდომი ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრების საქმეში ხელისშემშლელ მოვლენებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ფორმით ფუფუნებისკენ მიდრეკილება, ხარჯების ზრდა, ნედლეულის, მასალების, საწვავის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის ფუჭად ხარჯვა, ნარჩენების ათვისების ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების ნაკლებობა, ადგილობრივი რესურსების გამოყენების ნაკლებობა.

ბიუროს დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრების საქმეში ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად უნდა ჩაითვალოს ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრება, ენერგიის, მასალების, ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენება, ნარჩენების სრული ათვისება, ხელმისაწვდომი ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ეკონომიის რეჟიმის დამკვიდრების საქმეში ხელისშემშლელ მოვლენებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ფორმით ფუფუნებისკენ მიდრეკილება, ხარჯების ზრდა, ნედლეულის, მასალების, საწვავის, ელექტროენერგიის, ტრანსპორტის ფუჭად ხარჯვა, ნარჩენების ათვისების ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების ნაკლებობა, ადგილობრივი რესურსების გამოყენების ნაკლებობა.

ბიუროს დადგენილებაში ხაზგასმულ